სსიპ
გრიგოლ წულუკიძის
სამთო ინსტიტუტი

L.E.P.L.
G. Tsulukidze
MINING INSTITUTE

№ 07.01-10/132 „02" 08 2013 წ.

მწვანე ალტერნატივას
აღმასრულებელ დირექტორს

ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2013 წლის 2 აგვისტოს #04/09/01-107 მომართვის პასუხად საყდრისის საბადოსთან დაკავშირებით, გიგზავნით სამთო ინსტიტუტის მიერ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსადმი გაგზავნილი წერილის ასლს.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,
ნიკოლოზ ჩიხრაძე
დირექტორი

0186, თბილისი, ე. მინდელის ქ. №7.
ტელ: (995 32) 2324716; ფაქსი: (995 32) 2325990
E-mail: m_med@mining.org.ge

7, E. Mindeli St., 0186, Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 2324716; Tel/Fax: (995 32) 2325990
website: www.mining.org.ge

№ 07.01-10/119
10.07.2013 წ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს,
ბატონ გურამ ოდიშარიას

ბატონო გურამ

გიგზავნით სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის მეცნიერთა დასკვნას საყდრისის საბადოსთან დაკავშირებით წარმოდგენილ მასალებზე.

პატივისცემით,

ნიკოლოზ ჩიხრაძე
ინსტიტუტის დირექტორი

მოსაზრებები

საყდრისის ძველი მაღაროს ისტორიული ძეგლის შესახებ

გავეცანით რა ჩვენს ხელთ არსებულ კვლევებს და ექსპერტთა მოსაზრებს საყდრისის საბადოს შესახებ, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შეგვიძლია დავასკვნათ:

1. ვერ გავიზიარებთ მოსაზრებებს იმის შესახებ, რამ აღნიშნულ მაღაროზე ნაპოვნი ქვის ეროებით, რომელთა სიმტკიცე 20-25%-ით ნაკლებია დასამუშავებელი ძარღვების სიმტკიცეზე, შესაძლებელი ვერ იქნებოდა ქანის მონგრევა "ცეცხლური მეთოდის" გამოყენების გარეშე. შეუძლებელია ძარღვს ბუნებრივ პირობებში არ გააჩნდეს ე.წ. "სტრუქტურული შესუსტების" ზედაპირები, რაც განაპირობებს ქანის ნიმუშის და მასივის სიმტკიცეებს შორის საკმაოდ დიდ განსხვავებას და გვირაბის გაყვანის შესაძლებლობას პრიმიტიული მეთოდებით.

2. ვეთანხმებით ექსპერტთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საყდრისის მაღარო წარმოადგენს უძველეს სამთო-მომპოვებელი საწარმოს.

3. მიგვაჩნია, რომ დაუსაბუთებელია ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრება "მნიშვნელოვანი ფრაგმენტების" ან "რამდენიმე ფრაგმენტის" გადატანით ძეგლის შენარჩუნების შესაძლებელობის შესახებ.

4. სასურველი იქნება საყდრისის საბადოს ათვისების პროექტი შემუშავდეს ისეთნაირად, რომ შენარჩუნდეს საყდრისის მაღარო და მისი მეცნიერული შესწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. წარმოდგენილი ტოპოგრაფიული მასალის მიხედვით "მუზეუმის კონტურის" ფართობი არ აღემატება სამთო მინაკუთვნის ფართობის 5%-ს. ასეთი მუზეუმის მოწყობით დაინტერესება ჩანს შპს "კვარციტის" გენერალური დირექტორის მიერ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსადმი გაგზავნილ წერილში (#802, 21.12.2011).

გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი

განყოფილების ხელმძღვანელი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
წევრი-კორესპონდენტი ლ. ჯაფარიძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი, აკად. დოქტორი ე. მატარაძე

10.07.2013